L'amour - l'état émotionnel de l'être humain est associé à la peau de l'animal: «avoir qn dans la peau» - Être amoureux, tomber amoureux de qn.

Les somatismes «peau» et «patte» sont associés à la simulation et à la perfidie.

Ex.: «Chausser la peau»- simuler. «La patte du chat»- être perfide.

Les mêmes somatismes présentent les symboles de la punition et de l'agression dans les idiomes suivants: «Mettre la patte sur qn»- *emprisonner, battre qn*. «Vouloir la peau de qn» - *désirer de périr de qn*.

Il faut indiquer que ces somatismes ont aussi les connotations positives: «mettre sur patte» -*aider qn*. «Se faire trouver la peau»- *se sacrifier*, «être sous l'aile de qn» - *se réfugier*, «essayer ses ailes»- *essayer ses forces, ses efforts*.

Dans l'image langagière du monde animal se figure deux types de la compréhension de la langue: langue, comme le moyen inanimé, l'instrument du langage et langue, comme un être animé. La langue se perçoit comme une chose qui fait mal au cœur humain, qui fait médire, calomnier et au contraire aussi. Pour l'illustration nous pouvons citer les exemples:

D'après l'analyse des somatismes animaux des «bec»et «gueule» nous avons constaté que par la métaphorisation, ces mots ont changé leurs sèmes et archisèmes ce qui a provoqué le changement de la dénotation d et la rénovation complète du sens significatif des idiomes:

Bec → langue – avoir le bec bien affilé  
(Archi sème- langue, sème différentiel-la qualité)

Bec → ventre – se refaire le bec  
(Archi sème-bouche, sème différentiel-le ventre)  
Bec → voix – fermer (boucler, clore) le bec  
(Archi sème-la langue, sème différentiel-la voix)

Bec → âme - tenir le bec hors de l'eau  
(Archi sème-l'âme, sème différentiel-la qualité)

Gueule → bouche – gueule ferrée  
(Archi sème-la gorge, sème différentiel-l'estomac, la bouche)

Gueule → visage – gueule d'amour  
(Archi sème-la bouche des animaux, sème différentiel-l'apparence)

Dans la langue géorgienne les somatismes animaux sont représentés par les zonymes basés sur les substantifs „gueule“, „aile“, et „queue“.

Le zonyme „sa queue brûle“- est lié à une personne qui a peur qu'on apprenne son action criminelle; “avoir des ailes“- désigne être réjoui; “avoir la gueule du chien“- symbolise une personne bavarde.

Cette pensée créative place l'homme et la bête sur la même surface, en utilisant les mêmes moyens lexicaux. Il montre la description des sentiments et les comportements émotifs, l'image intérieure de l'homme par l'activité ou par l'attitude de l'animal. Cette coïncidence n'est pas occasionnelle et sert aux objectifs suivants: économiser et réaliser la fonction expressive par les moyens langagiers.

Sans pensée linguocréative est inimaginable la nomination secondaire-l'idiomatization, comme le moyen le plus clair de la fantaisie de la linguocréativité.

La pensée, dont la base est la langue nationale, apporte la conception nationale culturelle dans le fond du vocabulaire de la langue et juste grâce à son illimitation se forme le passage de la sémantique réelle à la sémantique émotive.

## I. 2. Symbolisation imaginaire des zonymes

Un des moyens de la motivation des idiomes dans les deux langues opposées est la symbolisation. Les gestes sont presque toujours symboliques, pourtant quand ils deviennent verbaux, ils se transforment en unités phraséologiques (Gak 1988: 13). Par exemple, „les mains croisées“ s'emploie avec le même sens dans ces langues qui signifie: 1. ne pas vouloir de faire qch, ne pas savoir où passer les mains, 2. le repos après le travail et 3 Fainéanter.

Non seulement les gestes phraséologiques appartiennent à la phraséologie cinétique, mais aussi les réactions organes du corps humains et les mimiques, ce qui explique le fonctionnement de la communication bilatérale. A la base de „l'idiomalisme cinétique“, on a réussi à présenter le processus difficile de la transformation phraséologique, lié à la symbolisation de la dénotation par rapport au primat des somatismes animaux dans les langues comparées.

En étudiant „les idiomes cinétiques nous avons constaté qu'en français ils étaient motivés par les gestes et les mimiques.

#### ***Les unités phraséologiques motivés par les gestes:***

Montrer patte blanche = présenter toutes les garanties nécessaires pour être admis quelque part.

Traîner de l'aile = être las, sans force

Coller un pain sur la gueule à qn = donner une gifle

Donner du bec et de l'aile = se défendre vigoureusement

Tanner la peau = battre, frapper qn

Souffler au poil de qn = gâter, combler de cadeaux, de choses agréables

Faire peau de tambour = bricoler

#### ***Les unités phraséologiques motivés par les mimiques:***

Faire le bec à qn = coqueter

Donner le bec = embrasser

Claquer du bec = avoir faim

Avoir le bec le travers = faire les grimaces

En géorgien ils ne sont motivés que par les gestes qui sont représentés par les substantifs suivants: „queue“, „peau“ et griffe (Sakhokia 1950: 220):

Lever la queue à qn = aider

Relever la peau sur le dos = battre, frapper qn

Tomber sous la griffe de qn = pouvoir dominateur et cruel

## **Conclusion**

Selon l'analyse il est possible de conclure que les unités phraséologiques sont marqués le plus souvent par la connotation négative : en français 14 %, en

géorgien – 12,8%; mais nous avons rencontré aussi les unités phraséologiques positives qui sont en français 5,4%, en géorgien -4,5%.

L'étude typologique des idiomes est importante pour se rapprocher de la réalité conceptuelle du monde communicatif. Ils expriment l'expérience importante du peuple différent, leur coutume, leur culture, leur tradition et les moyens de leur pensée imagée.

## **Literature**

1. Sakhokia T. (1950): *Qartuli khatovani sitkvatqmani* (en géorgien). Tbilissi, Saq. mecn.akademia
2. Gak V. (1988): *Méaphore, universelle et spécifique* (en russe). Moskva, Naüka
3. Lossev A. (1982): *Signe. Symbole. Mithe* (en russe). Moskva, Naüka
4. Retsker J. (1963) : *Dictionnaire phraséologique franco-russe*. Moskva, Progress
5. Rey A., Chanteau S. (1984): *Dictionnaire des expressions et locutions*. Paris, Robert
6. Lakof J., Jonson M. (1988): *Métaphores par quoi nous vivons* (en russe). Moskva, Naüka
7. Chakhnarovitch A. (1991): *Le facteur humaine dans la langue. Les mécanismes langagiers de l'expressivité*. Moskva, Naüka

**ფრაზეოლოგიური ერთეულის  
შიდა ფორმა – ემოციურობისა და  
გამომსახველობის აღმნიშვნელი  
საშუალება**

ნატალია სურგულაძე  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
კვლებულის დეპარტამენტი  
ნინო შვილის გამზირი 35, 6010, ბათუმი  
საქართველო  
E-mail: n.surguladze@yahoo.com

## **რეზიუმე**

ჩვენი კვლევა ეძღვნება ცხოველთა სახელებით შედგენილი ფრაზეოლოგიური ერ-

თეულების შეპირისპირებით ანალიზს ფრანგულ და ქართულ ენებში. ლინგვოკრეატიული აზროვნება ადამიანს და ცხოველს აყენებს ერთ დონეზე, ერთი და იგივე ლექსიკური საშუალებების გამოყენებით. ადამიანის შინაგანი ხატი, გრძნობები და ემოციური ქვევა გადმოცემულია ცხოველის პოზით ან მოქმედებით. კონტრასტული ენების ფრაზეოლოგიური სისტემების შედარებისას განსაკუთრებით საჭიროა გავითვალისწინოთ მათი სემანტიკური და ფუნქციური ასპექტები, ვინაიდან მათი სტრუქტურული დამთხვევა იშვიათია. იდიომთა შინაგანი ფორმის ექსპრესიულობა განპირობებულია მეტაფორული ხატით, რაც ემყარება ამა თუ იმ ხალხის შემოქმედებით და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. არამონათესავე ენებში იდიომთა მოტივაციის ერთ-ერთი საშუალება სიმბოლიზაციაა. ანალიზის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხოველთა სახელებით შედგენილი ფრაზეოლოგიური ერთეულები უფრო ხშირად უარყოფითი კონტრაციით ხასიათდება, თუმცა ჩვენ შეგვხდა მსგავსი ფრაზეოლოგიზმები დადებითი კონტრაციითაც.

#### **საკვანძო სიტყვები:**

შინაგანი ფორმები, ზოონიმები, დენოტაცია, სიმბოლიზმი.

#### **Резюме**

Наше исследование посвящено сравнительному анализу фразеологических единиц составлены именами животных в неродственных языках. Лингвокреативное мышление ставит человека и зверя на один уровень, используя те же лексические средства. Внутренний образ человека, его чувства и эмоции передаются определенными позами или поведением животных. При сравнении фразеологических систем контрастных языков, надо особенно предусмотреть семантические и функциональные аспекты, так как их структурные совпадения очень редки. Внутренние формы идиом обусловлены метафорическим образом, который опирается на творческий и жизненный опыт данного народа. Одно из средств мотивации идиом в неродственных языках - символизация. Согласно анализу можно заключить, что фразеологические единицы составлены именами животных, отмечены чаще всего отрицательной коннотацией, но встречаются также положительные фразеологические единицы.

#### **Ключевые слова:**

Внутренние формы, зоонимы, денотации, символизм.

## **Внутренняя форма фразеологической единицы как средство обозначения эмоциональности и выразительности**

*Сургуладзе Наталья*

*Батумский Государственный Университет им.*

*Шота Руставели*

*Департамент европеистики*

*ул. Ниношвили 35, 6010, Батуми, Грузия*

*E-mail: n.surguladze@yahoo.com*

# ემანუელ კარერის პოსტმოდერნისტული ექცერიმენტი

ნინო ქავთარაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. 36. 0179. თბილისი, საქართველო

ტელ.: 599 794 068

E-mail: [ninkavt@hotmail.com](mailto:ninkavt@hotmail.com)

## რეზიუმე

53 წლის ემანუელ კარერი მწერლობას და კონექტოგრაფიას ერთმანეთს შესანიშნავად უხამებს. საინტერესოა, რომ ხელოფნების ამ დარგების თანაარსებობა მის შემოქმედებას სრულყოფს და სრულებითაც არ აკნინებს. ორი მუზის მსახურის რეალობასთან ჭიდილი განხსნავებულ სახეს იძენს. ეს არ არის მწერალი, რომელიც კინომატოგრაფიასთან მხოლოდ თანამშრომლობს: კარერი თავად წერს, სცენარებს ქმნის და ფილმებსაც იღებს.

შეიძლება თუ არა ფილმის ეკრანიზაცია? რომელია უკეთესი ან სწორი: ეკრანიზაცია თუ ადაპტაცია? ამ საკითხზე ბევრს კამათობენ, მაგრამ რა ხდება მაშინ, როდესაც მწერალი და რეჟისორი ერთი და იგივე პიროვნებაა და, რაღაც მიზეზთა გამო, ერთი და იგივეს შეეჭიდა: ჯერ მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტის სახით, შემდეგ კი – მხატვრული ფილმის; თანაც შემოქმედებით წვას თითქმის ათი წელი მოანდომა? ჩვენ არც ეკრანიზაციაზე, არც ადაპტაციაზე არ ვსაუბრობთ: კარერის ექსპერიმენტი კვლავწერაა, რაც ესოდენ ესადაგება პოსტმოდერნის ტულ ესთეტიკას.

## საკვანძო სიტყვები:

ემანუელ კარერი, პოსტმოდერნიზმი, ინტერმედიალობა, მითოლოგია, სიმბოლიკა.

## შესავალი

შემოქმედთა თანავარსკვლავედში კარერის გამოჩენა უფრო მოსალოდნელი იყო, ვიდრე – მოულოდნელი: არც თუ ისე ადვილია იყო ელენ კარერ დანკოსის, საფრანგეთის აკადემიის მუდმივმოქმედი მდივნის ვაჟი. როგორც 2007 წელს იუწყებოდა პრესა, კარერმა რუსული რომანი დედას ერთგული ვასალივით მიართვა, თუმცა მოურიდებლად აღწერა ის, რასაც ელენი საგულდაბულოდ მალავდა. გახმაურებულ წიგნში კარერი ოჯახის საიდუმლოსთვის ფარდის ახდას შეეცადა: ნაწარმოებში, რომელსაც თავად ავტორი ავტოფიქციას უწოდებს, პაპის უცნაური ბედის აღწერით და საკუთარი ცხოვრების საბჭარაოზე გამომზეურებით, კარერმა საბჭოთა იმპერიის კლანჭებიდან დაღწევის და ემიგრაციული სიღუხებირის ამბავი თანამედროვეობას მიუსადაგა. „– დედამ მთხოვა, მაგრამ მე მაინც დავწერე (2 მარტის 2007 წლის ინტერვიუდან – *Le monde*).

გიორგი ზურაბიშვილის შვილიშვილის და ცნობილი სოვიეტოლოგის ვაჟიშვილის განსხვავებული ხედგა ჩანს მის გახმაურებულ ნაწარმოებში – „ულვაში“. 1986 წელს გამოსულმა რომანმა ახალგაზრდა კარერს წარმატება მოუტანა. ჯონ აპდაიკის შექმასაც უქმად არ ჩაუვლია და ემანუელ კარერი, მსოფლიოს მრავალ ენაზე ნათარგმნი რომანის ეკრანიზაციას, თითქმის ათი წლის შემდეგ შეუდგა. ფილმი ეპრანებზე 2005 წელს გამოვიდა. პოპულარობით იგი ტოლს არ უდებს რომანს.

„ – რას იტყვი, ულვაში რომ მოვიპარსო?“  
– შეიძლება ამ ერთმა უბრალო შეკითხვაშ ადამინის ცხოვრება შეცვალოს? შეიძლება, თუ უულვაშობას ვერავინ ამჩნევს! განა ასეთი უყურადღებოა თანამეცხედრე? თავის პრობლემებით გათანგულნი არიან

მეგობრები ან გულცივნი თანამშრომლები? მკითხველიც ორჭოფობს, ვერ გაუგია, ვის დაუჯეროს, ვისი სიმართლე ირწმუნოს: მარკის, რომელსაც თანაუგრძნობს, თუ ცოლის, რომელსაც ქმრის გადარჩენა სურს.

## ძირითადი ნაწილი

ემანუელ კარერის ფილმის და რომანის შედარებისას დაგვაინტერესა ინტერედიალურმა ურთიერთკავშირმა, ანუ გამომსახველობითი მხატვრული ფორმების ნასესხობაში ხელოვნების ერთი დარგიდან მეორეში. შეგვედრეთ გამოგვეურ ფილმსა და რომანში არსებული რამდენიმე მსგავსება-განსხვავება.

დავიწყოთ იქიდან, რომ მხატვრულ-ლიტერატურული, ვერბალური ტექსტი მკითხველისგან მეტ ფანგაზიას მოითხოვს, მაგალითად: წიგნისგან განსხვავებით, მაყურებელი ხედავს, თუ როგორ იპარსავს მარკი (პროტაგონისტი) ულვაშს. საინტერესო სწორედ ის არის, რომ ულვაშის მოპარსევის ნაცვლად, ცხოვრების შესაცვლელად, პროტაგონისტს სხვა რამ შეეძლო გაეკეთებინა. ამას თავად კარერიც აღიარებს ბერნარ პივოსთან ინტევიუს დროს (1986 წლის 18 აპრილის გადაცემაში – *Apostrophes*). ულვაშის სიმბოლური დატვირთვა ფილმში კიდევ უფრო ძლიერდება. მასკულინური ატრიბუტის გაპარსევით, პროტაგონისტმა VIII-IX საუკუნეებამდე შენარჩუნებული, კალიგულას და ნერონის სახელთან დაკავშირებული წვერის და თმის პირველი შექრის რიტუალი შეასრულა: *barbaratoria* ანუ *despositio barbae*. ამ ქმედებით, თითქოს, მარკი გონს უნდა მოეგოს, დაბრძენდეს, ახალი ცხოვრება დაიწყოს. მარკი ახალ ცხოვრებას მართლაც იწყებს, მაგრამ მხოლოდ მისთვის ხილულს, მკითხველისთვის დასაეჭვებელს.

მარკის მეტამორფოზის ფონზე, შეიძლება რამდენიმე სახე-ხატის განვითარებას მივადევნოთ თვალი:

მაკს არ ჰავს შეიძლი, ე.ი. მომავალი არა აქეს. ფილმში, წიგნისგან განსხვავებით, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია; ნაწარმოებიდან ვიგებთ, რომ მამამისიც გარდაცვლილია, რაც პროტაგონისტის საკუთარ წარსულთან კავშირის გაწყვეტის სიმბოლური გამოხატულება. მარკი თმის საფარს იჭრის (ულვაში), რაც სიცოცხლის ნებაყოფლობით დასრულებაზე მიუთითებს (ნაწარმოების დასაწყისშივე, მარკს ფეხსაცმლის თასმაც უწყდება!). ყოველივე ფილმის ფინალს გასაგებს ხდის.

დიალოგების სიმწირე და ხდომილობის სიმცირე არყოფნის მეტაფიზიკის და ინტერსუბიექტურობის გამომხატველია: პოსტმოდერნიზმის ესთეტიკური პარადიგმის, კულტურული კოდისა, რაც მამის სიკვდილით და ცოლთან კომუნიკაციის რღვევით იკვეთება.

კინოვერსიაში წყლის სიმბოლიკა უფრო ხილული და მეტყველია: თხრობა შავი წყლის დინებით, შხაპით, ულვაშის გაპარსევით და სარკეში ჩახედვით (თვითიდენტიფიკაციის პროცესი) იწყება. ანიესის (პროტაგონისტის მეუღლე) და მარკის საძინებელში სურაოზეც კი ზღვაა გამოსახული; ჰონკონგში გაქცეული მარკი უმიზნოდ, ბორანით მიდი-მოდის; იქვე, უსახურ სასტუმროში, წყლის პირას სახლდება, წყალში გადააგდებს ერთადერთ ფოტოს, რომელიც მისი ქორწინების ბედნიერ დღეებს ასახავს... ყველაფერი ეს ნაკლებად თვალშისაცემია ვერბალურ ტექსტში და ვიზუალური ტექსტის პარადიგმის უპირატესობას წარმოაჩენს. ვფიქრობთ, კარერი წყლის მითოლოგებას განზრას გამოყოფს: წყალი სიცოცხლის სიმბოლოა, შავი წყალი კი – გარდაცვალების.

კარერი ფილმში ბევრი მხატვრულ-გამომსახველობით ხერხით მანიპულირებს:

ზოგს უცვლელად ტოვებს, ზოგსაც – ცვლის. მაგალითად:

1. ფილმში ერთი და იგივე კლასიკური მუსიკა ჟღერს, მხატვრულ-ლიტერატურულ ტქქსტში Bossa Nova არის ნახსენები.

2. კარერი მეგობარი ქალის სახელს – ვერონიკი (Véronique), შესაძლოა, არასა-სურველი ჟღერადი ასოციაციების ასარიდებლად (ჟარგონის ენაზე სიტყვა *niquer* სეჭ-სუალურ ურთიერთობას ნიშნავს), სახელით – ნადია, ცვლის.

3. წიგნში, თასმის გაწყვეტის შემდეგ, ფქნებაცმლის შეცვლას მარკს ცოლი სთავაზობს. თუ ძაფის, თმის და თასმის სიმბოლურ დატვირთვას სიცოცხლესთან დაგაკავშირებთ, ცოლის მხრიდან დახმარება ქალის თანადგომაზე მეტყველებს; კინოფილმში – ამას თავად მარკი ახერხებს, რაც პროტაგონისტის მარტოსულობას უსვამს ხაზს.

4. ფილმში მარკის ცოლი ფეხბურთის გულშემატკივარია. ანიესი ეწევა და უკვირს, რომ მარკმა არ დაივიწყა ეს მავნე ჩვევა; მარკის ცოლი ყოფილ ქმართან (სერჟი) მეგობრობს (ეს ეპიზოდი ფილმშია დამატებული); ქალი სვამს და შეუვარებული მამაკაცით განზრახ ამკობს. წიგნში კი, იგი რომან გარის გულის ამაჩუქებელ რომანს კითხულობს (რომან გარიმ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა!) და სანიმუშო, მამაკაცისთვის საოცნებო თანამაცხედრებას მარკის სამსახურიდან დაბრუნებას სიმარტოვეში ელოდება.

5. კარერი მაშინაც ცვლის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, როდესაც ერთი და იგივეს გამოთქმა ან ჩვენება სურს: მაგალითად, მხატვრულ-ლიტერატურულ ტქქსტში, მარკმა უხასიათობა რომ გაამართლოს („ბარემ, პომოსექუალების ტყავის ქურთულს ჩავიცვამ“), ცოლს საყვედურობს. ფილმში კი, ანიესი თავს მემავს ადარებს: ამ ტყავის სამოსით მემავს ხომ არ ვგავარო,

ეკითხება ქმარს, რითაც მისი გამოწვევა სურს. მაყურებელი კი, ამ ეპიზოდში მარკის ინდეფერენტულობას ამოიკითხავს.

6. ფილმში დეკორაციაც თვალშისაცემია: პარიზის ბინის მინიმალისტური გაფორმება, თითქმის ასკეტური ანტურაჟი, აძლიერებს მარტოსულობის ტრაგიზმს: წარმატებული ბურჟუას ერთფეროვანი ყოფა სულიერ ქაოსს უპირისპირდება. ეს განწყობა კიდევ უფრო ძლიერდება პონქონგის დარიბულ სასტუმროში ოთახის დაქირავებით.

ჩევნ გაინდა გამოყოფ ფილმის და რომანის მსგავსება-განსხვავების ორი უმნიშვნელებანები: ნარატიული დრო და ფოკალიზაცია.

1. როგორც ვერბალურ, ასევე ვიზუალურ ტქქსტში, უდიდეს მნიშვნელობას იდენტიული დრო. ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი ნაწარმოების კინოვერსიაში, მოქმედება ერთი და იგივე მუსიკის ფონზე ვითარდება, რაც მოვლენების თანმიმდევრულობის ილუზიას ქმნის; მაგრამ ლინეარული თხრობა მხოლოდ წიგნში მოთხრობილ ამბავშია. კინოვერსიაში თხრობა ანაქრონიულია, მაგრამ ეს მხოლოდ იმისთვისაა ცხადი, ვისაც რომანი აქვს წაკითხული. კინოვერსიაში, ცოლთან გატარებული სასიყვარულო დამის შემდეგ, მარკი აბაზიაში შედის და უელში სამართებელს გამოისვამს. ეს ეპიზოდი ფილმის შუაშია მოქცეული და იგი ნაწარმოების და ადამიანის სიცოცხლის დასასრულს ისე ძლიერ ვერ გამოხატავს: მაყურებელმა შეიძლება მხოლოდ ივარაუდოს, რომ მარკი თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს. ვფიქრობთ, ამ ეპიზოდში ჩანს კარერი მწერალი, რადგან ფილმში ელიფსისის სახით ლიტერატურული მეტაფორაა გამოყენებული.

2. ინტერმედიალური ურთიერთობების პლევისას, ასევე მნიშვნელოვანია ფოკალიზაცია, ანუ ხედვის პერსპექტივა. ჩვენ

გვაინტერესებს, არა მარტო – ვინ ჰყვება? არამედ – ვინ ხედავს? როგორია ფოკალიზაცია: ნულოვანი, შიდა თუ გარე? კარერის მხატვრულ-ლიტერატურულ ტექსტში იგი შიდაა: მთხოვბელი იმდენივეს ჰყვება, რამდენიც იცის პერსონაჟმა. თანაც ეს შიდა და მრავალმხრივი ფოკალიზაციაა, რაღაც ერთი და იგივე მოვლენა (ულვაშის გაპარსვა) სხვადასხვა პერსონაჟის მიერ არის დანახული (მარკი, ანიესი). კინოხელოვნებაში ფოკალიზაციას მეტი დატვირთვა აქვს: იგი ბიჰევიორისტულია. კარერს შეეძლო გარე ფოკალიზაციით ესარგებლა და კინოვერსიაში ნარაცია ისე წარემართა, რომ რეციპიენტისთვის მიენდო ყველაფერი (რომანის ფინალის შეაში მოქცევა ამის მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს); მაგრამ პროტაგონისტის სულიერი სიცარიელე შიდა ფოკალიზაციით უფრო კარგად ჩანს, ვიდრე გარე ფოკალიზაციის შემთხვევაში და პირადად განცდილის მოყოლაც მეტ დამაჯერებლობას იძენს.

ნაწარმოებში ყველაფერი ცოტ-ცოტაა: ცოტაოდენი სიყვარული („მთავარია, ერთმანეთი გვიყვარს”), ცოტა იმედგაცრუება, ცოტაოდენი ფემინიზმი, საშუალო ასაკით გამოწვეულ დეპრესიაზე თანდართული ქორწინების კრიზისი... მაგრამ ბევრია დელიოზი და დერიდა (ემანუელ კარერის გარდაცვლილი ბიძაშვილი – ფრანსუა ზურაბიშვილი, დელიოზის ფილოსოფიას სწავლობდა).

ორივე შემთხვევაში – ფილმშიც და რომანშიც – იდეა განსხვეულებულ მხატვრულ ფორმას იძენს, სხვადასხვაგვარად ისხამს ხორცს. კარერის მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფცია არის პოსტმოდერნისტული. მას პოსტმოდერნისტული მგრძნობელობა ახასიათებს. ფუკო წერდა: „ჩვენ წინასწარ განუსაზღვრელი კოორდინატების გარეშე ვცხოვრობთ, მოვლენების მირიადებში დაკარგულები, ამიტომ იცვლება სამყარო-საღმი ტოპოლოგიური და აქსიოლოგიური დამოკიდებულება. დეორგანიზებული კაპიტალიზმის პირმშო, სივრცობრივ და სე-

მანტიკურ საყრდენს გამოცლილი ადამიანი დაეხეტება ამ ტოტალურ სემანტიკურ ქაოსში”. სწორედ ასეთია მარკი.

კარერის რომანში, ნარაციის იერარქიული სტრუქტურა თარიღების და წლის მითოთებითაა დაცული. კინოვერსიაში ლინეალური თხრობა უარყოფილია; არც ტოპოგრაფიული და ფსიქოლოგიური ქრონოგრაფების თანხვედრა ხდება: მაგალითად, ანიესი აჩქარებს მეუღლეს, რომ მეგობრებთან, სერგესა და ნადიასთან არ დაიგვიანონ:

- „— ვიჩქაროთ, 8 და 30 წუთზე იქ უნდა ვიყოთ!”. იგულისხმება საღამო, თუმცა, ამ სიტყვების შემდეგ, ანიესი მაღაზიაში ჩადის, საუზმისთვის რამე რომ იყიდოს.

- დროის აღქმა სუბიექტურია არა მარტო მარკისთვის, არამედ ანიესისთვისაც. მარკის დრო გაჩერდა: ულვაში გაპარსულია, თასმა გაწყვეტილი, ფოტოსურათი დაკარგული, მამა მკვდარია... მაყურებლისთვის ანიესის ზრუნვა ქაოტური სამყაროს დროსა და სივრცეში ერთადერთი ორიენტირია.

- მარკი მოულოდნელად (მხოლოდ მისთვის) იგებს, რომ მამამისი ერთი წლის წინ გარდაიცვალა. მაყურებელი რწმუნდება, რომ მარკი გაგიჟდა. თავად მარკისთვის კი უტყუარია, რომ მისი ერთგული, სათაყვანებელი ცოლი მას მტრობს, ე.ი. ყველაფერი დასრულდა, ასკვნის მარკი, სამყარო გადაბრუნდა და შეიშალა, ამიტომ მის სიშმაგეს მნიშვნელობა ეკარგება.

- პონკონგში გაქცეულ მარკს ცოლის უეცარი გამოჩენა უკვირს. მაურებული კი, ანიესის აუდელვებელი ქცევის შემურე, იმას ხვდება, რომ რაღაც არ აჩვენეს, რომ ამბის დრო მინიმუმადეა დაყვანილი (ელიფსისი). მარკი არაფერს ამბობს: იგი უავვ ყველაფერს უაუება: მის გონებაში არსებობის ახალი ფორმების (იუბრისი) მიება მიმდინარეობს, ზოგადი სისტემის ფუნქციონირების არამყარ პარამეტრებთან შეგუება. შეგუება კი დასასრულია. ავტორი, ამჯერადაც, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური

ქრონოტოპების განსხვავების ხარჯზე ქმნის ბაჟგებრობის ეფექტს.

## დასკვნა

რა არის ემანუელ კარერის „ულვაში”? ფრანგული, ნატიფი და ამავდროულად შემზარავი ფილმი-ტრილერი, ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი ფსიქოლოგიური დრამა თუ აქა-იქ ნახმარი უხამსობებიანი მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტი, რომელსაც ტრანსგრესიულ ლიტერატურად ნათლავენ? ტექნოლოგიების განვითარებამ შექმნა ნეორენესანსული ადამიანის ტიპი, რომელსაც უველავერი ხელეწიფება და გამომსახველობით საშუალებების ძიებისას, მისთვის მისაწვდომ და ხელსაყრელს უველავერს იყენებს.

ასეთია ემანუელ კარერიც. ბორის ვიანის ლიტერატურული მისტიფიკაციის თუ ფრანსუა ტრიუფოს ტრადიციების გამრძელებელი, ენაწყლიანი მწერლის და სიტყვაძუნწირების „ულვაში”, ადამინური ტრაგედიის შესახებაა, რომელსაც სამართებლის ერთი გამოსმა ვერ უშველის; და რომელ მხარესაც არ უნდა გადაიხაროს პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული კარერის კარიერა, მისი შემოქმედება მეტამორფოზისთვის ღიაა, კინოსა და ლიტერატურის ჰარმონიული ნაზავია, რომელშიც შავი იუმორი განმგებლობს.

## ლიტერატურა

1. Carrère E. (1986): *La moustache*. P.O.L. Paris
2. Carrère E. (2005): *La moustache*. Le film. France
3. Encyclopédie des symboles (1988): La Pochthèque. Paris

4. Jouve V. (1997): *La poétique du roman*. SEDES. Paris
5. ლიტერატურის თეორია (2008): ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი

6. ფუკო პ. (2004): სიტყვები და საგნები. გამომცემლობა „დიოგენე“. თბილისი

## Emmanuel Carrère's postmodern experiment

Nino Kavtaradze

Tbilisi State University

Humanitarian science faculty

36, I.Chavchavadze aven., 0179, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 794 068

E-mail: [ninkavt@hotmail.com](mailto:ninkavt@hotmail.com)

## Abstract

Emmanuel Carrère, who is 53 years old, can combine the professions of writer and film director very well. Interestingly, the combination of these fields of art does not decay his work at all, making it, on the contrary, perfect.

Is it possible to film a novel? Which word is more convenient or correct - filming or adaptation? This issue is much debated. However, what happens in cases when the author and film director are one person, who has, for some reason, decided to deal with the same thing first in the shape of an artistic text and then in the shape of a feature film, spending ten years on creative labour? We believe this is neither filming nor adaptation, but repeated creation, which is in conformity with postmodernist aesthetics.aesthetics.

## Keywords:

Emmanuel Carrère, postmodernism, intermediality, mytheme, symbol.

## **Постмодернистский эксперимент Эммануэля Кэррера**

*Кавтарадзе Нино Давидовна  
Тбилисский государственный университет  
Факультет гуманитарных наук  
Прос., Чавчавадзе 3б, 0179, Тбилиси, Грузия  
Тел.: 599 794 068  
E-mail: [ninkavt@hotmail.com](mailto:ninkavt@hotmail.com)*

### **Резюме**

Пятидесятитрехлетний Эммануэль Кэррер блестяще совмещает писательство с кинематографией. Интересно и то, что этим его искусство не проигрывает, а наоборот. Для служителя двух муз борьба с реальностью раскрывает иные горизонты. Кэррер, сотрудничающий с киноин-

дустрией писатель: он пишет романы, сам создает сценарии и сам же снимает фильмы.

Возможно ли снять фильм по роману и как лучше назвать его: экранизацией или адаптацией? Об этом много спорят, а особенно тогда, когда артист соединяет в себе режиссера и писателя, который, спустя десять лет, возвращается к идее, уже воплощенной в художественно-литературном тексте. Эксперимент Кэррера собственно не экранизация и не адаптация: это звучный с эстетикой постмодернизма процесс заново написания (*réécriture*).

### **Ключевые слова:**

Эммануэль Кэррер, постмодернизм, интермедиальность, мифологема, символ.

# ფრანგულ და ქართულ გასტრონომიულ ფრაზეოლოგიზმთა შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი

ლოლიტა თაბუაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ჭავჭავაძის გამზ. 36, 0179 თბილისი, საქართველო

ტელ.: 599 468 184

E-mail: ltabuashvili@yahoo.fr

ნილია სიტყვათა ისეთი თანმიმდევრობით ან წინადადებით, რაც ცალკეული ლექსემის ფუნქციას ასრულებს; იქმნება ლინგვისტურ-სემანტიკური ველი, რომელიც მრავალი ლექსიკური ერთეულის იერარქიულ სტრუქტურას წარმოადგენს და რომლებიც საერთო მნიშვნელობით არიან გაერთიანებული.

## რეზიუმე

ფრაზეოლოგიზმების პელევას უამრავმა ლინგვისტმა მიუძღვნა ნაშრომი, მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორიცაა გასტრონომია და მასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები ნაკლებადაა შესწავლილი. ნაშრომში წარმოდგენილია გასტრონომიასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები, ასევე მათი კლასიფიკაცია სემანტიკისა და გამოყენების თვალსაზრისით და მათი შედარება-შეპირისპირება შესაბამის ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან, განსხვავებებისა და მსგავსებათა გამოვლენით.

## ძირითადი ნაწილი

გასტრონომია ფრანგი ხალხისათვის, ისევე როგორც ქართველებისათვის, ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს; ამ თემასთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმების შესწავლა ორი ხალხის გასტრონომიული თავისებურებების გაგებისა და ორი სხვადასხვა ოჯახის ენის (ფრანგულის და ქართულის) ამ კუთხით შედარება-შეპირისპირების საშუალებას მოგვცემს.

საკვლევ მასალად გამოვიყენეთ 2 ტიპის ფრაზეოლოგიზმი: კომუნიკაციური და არაკომუნიკაციური. კომუნიკაციური მოიცავს ორ ქვეჯგუფს:

1. კომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმები, რომლებშიც არაა გამოყენებული ანდაზები, მაგრამ გამოირჩევიან მყარი სინტაქსური სტრუქტურით. აქ განასხვავებენ ორ სტრუქტურულ სახეს:

- დია სტრუქტურა, რომელიც სინტაქსურად და აზრობრივად დაუმთავრებელი ფორმითაა გამოხატული:

მაგ. Avoir faim de - ძალიან გშიოდეს (სიტყვა-სიტყვით: შიმშილის ქონა); Avoir soif de - გწყურდეს (სიტყვა-სიტყვით: წყურვილის ქონა);

## საკვანძო სიტყვები:

გასტრონომია, ფრაზეოლოგიზმი, ტიპოლოგია, კლასიფიკაცია, შედარება.

## შესავალი

ფრაზეოლოგიზმები (ფრაზეოლოგიური ერთეულები), თავისი შემადგენლობითა და სტრუქტურით, დაუშლელი გამონათქვამებია, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელ სიტყვათა ჯამს; ისინი წარმოდგე-

- დახურული ფრაზეოლოგიური სტრუქტურა, რომელიც სინტაქსურად და აზრობრივად დამთავრებული ფორმითაა გამოხატული.

მაგ. Cela fait bouillir la marmite ოჯახის რჩენა, შენახვა; თავის სარჩენი ფულის შოვნა ( სიტყვა-სიტყვით: ეს ადუდებს ქვაბს).

Croyez cela et buvez de l'eau სანამდეც საბანი გაგვწვდება, ფეხიც იქამდე გაშალეო ( სიტყვა-სიტყვით: ირწმუნეთ ეს და დალიეთ წყალი).

Les carottes sont cuites ყველაფერი ნათელია; საქმე დასრულებულია, საქმეს წერტილი დაესვა ( სიტყვა-სიტყვით: სტაფილოები მოხარშულია).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს კომუნიკაციური ფრაზეოლოგიზმების გამოყენების მსგავსება ქართულთან, მაგრამ შემადგენლობის მიხედვით მკვეთრი განსხვავებაა.

2. არაკომუნიკაციური ფრაზეოლოგიური ერთეულების შემდეგ ფორმებს განახვავებენ:

\* არსებითი სახელის შემცველს:

- მაგ : pot de fleur წარმატებით არ სარგებლობს ( სიტყვა-სიტყვით: ყვავილის ქოთანი).

- Casseur d'assiettes ტრაბახა ადამიანი ( სიტყვა-სიტყვით: ოეფშების მტკრეველი).

- c'est un grenier à sel ძალიან ენამახვილი, გონებამახვილია ( სიტყვა-სიტყვით: მარილის საწყობი).

\* ზედსართავიანი სახელის შემცველს (რომელიც ყველაზე მეტია):

- sourd comme un pot ყრუანჩელა ( სიტყვა-სიტყვით: ქოთანივით ყრუა).

- ivre comme une soupe ღვინოში ჩამხრჩალი; გალეშილი ( სიტყვა-სიტყვით: მთვრალი როგორც წვნიანი).

- au gros sel უხეში ხუმრობა ( სიტყვა-სიტყვით: მსხვილი მარილი).

\* ზნიზედის შემცველს:

- fondre comme le beurre dans la poêle სანთელივით ჩამოდნობა ( სიტყვა-სიტყვით: დნობა, ვითარცა კარაქი ტაფაზე).

- manger à sa faim გამოძლობა, გატყვრომა (სიტყვა-სიტყვით: ჭამა შიმშილის გამო).

- En rang d'oignon წალიკ-წალიკ; დაწალიკებით (ხახვის ნაწილებად).

- pour tout potage მხოლოდ და მხოლოდ, სულ ეს (მთლიანი წვნიანისთვის).

- Pour renfort de potage დამატებით, ამას გარდა (წვნიანის გასამაგრებლად).

\* ზმური ფორმების შემცველს:

-monter comme une soupe au lait ( სიტყვა-სიტყვით: გადმოსვლა როგორც რძიანი წვენის).

- avoir du pain sur la planche თავშემონახულია; საქმე თავზე საყრელად აქვს; დუღს და გადმოდის ( სიტყვა-სიტყვით: პურის ქონა ფიცარზე).

-faire chou blanc მარცხი განიცადა, ხელი მოეცარა, საქმე ჩაეფუშა ( სიტყვა-სიტყვით: თეთრი კომბოსტოს კეთება).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ფრანგული არაკომინიკაციური ფრაზეოლოგიზმები არ ემთხვევა ქართულ ფრაზეოლოგიზმებს არც სიტყვათა შემადგენლობით და არც სიტყვა-სიტყვითი თარგმანით.

ფორმისა და მნიშვნელობის მიხედვით ფრანგული ფრაზეოლოგიზმები შეიძლება ორ ჯგუფად დაგყოთ:

- ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ქართულ ენაში პირდაპირი მნიშვნელობით ითარგმნება, ანუ იმავე ლექსიკური შემადგენლობით.

- mettre le couteau sur la gorge à qn - დაადო ყელზე დანა ვინძეს

- doux comme le miel – თაფლივით ტკბილი.

- rouge comme une pomme - ვაშლივით წითელი.

- il est tout sucre et tout miel - თაფლი და შაქარია.

ქართული თარგმანის ფრანგულთან ასეთი მსგავსების მიხედვი სხვადასხვაა. ერთერთ მთავარ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ერთნაირი აზროვნება და რასაკვირველია ფრაზეოლოგიზმების წარმოშობის საერთო წყარო ( ბერძნულ-რომაული მითოლოგია, ბიბლია, უძველესი ისტორია და სხვ.).

- ფრაზეოლოგიზმების მეორე ტიპი, რომლებიც არაპარალელური ექვივალენტებით ითარგმნება, სტრუქტურულად მსგავსია, მაგრამ განსხვავებულია ლექსიკური ძირით; მაგ.:

- faute des grives on mange des merles უძაღლო ქვეყანაში კატებს აყევებდნენ; ოვაზი თუ არ არის კიბორჩხალაც თევზია (სიტყვა-სიტყვით: შაშვების შეცდომით, შოშიებს ჭამენ).

- s'enrouler comme un escargot ქუს ნაბიჯებით სიარული (სიტყვა-სიტყვით: ლოგოგინასავით სიარული).

- fauché comme les blés მინდორივით მოტოტვლებული (სიტყვა-სიტყვით: მოთიბული როგორც ხორბალი).

- casser du sucre sur la tête de qn ჯოხი სხვის კისერზე გადატეხო (სიტყვა-სიტყვით: შაქრის ტეხვა სხვის თავზე).

## დასკვნა

ამგვარად, ნაშრომში მოვახდინეთ გასტრონომიასთან დაკავშირებული ფრანგული ფრაზეოლოგიზმების კლასიფიცირება კომუნიკაციურ და არაკომუნიკაციურ ტიპებად. კომუნიკაციურ ტიპში გამოიყო ორი ქვეჯგუფი:

1. ლია სტრუქტურა, რომელიც სინტაქსურად და აზრობრივად დაუმთავრებული ფორმითაა გამოხატული;

2. დახურული სტრუქტურა, რომელიც სინტაქსურად და აზრობრივად დამთავრებული ფორმითაა გამოხატული.

არაკომუნიკაციურ ტიპში გამოიყო ოთხი ქვეჯგუფი: 1. არსებითი სახელის შემცველი; 2. ზედსართავი სახელის შემცველი; 3. ზმინზღის შემცველი; 4. ზმური ფორმების შემცველი.

## ლიტერატურა

1. А. Г. Назарян (1976): Фразеология современного французского языка, Москва
2. Dictionnaire plus de l'idée aux mots (2002): Paris
3. Larousse agricole, sous la direction Marcel Mazyer (2002): Paris
4. Tsissana Bibiléichvili, Lia Darachvili, Russoudan Gatchava
5. Dictionnaire des locutions Français-géorgien (2010): Tbilissi

## The Relative-comparative analysis of the French-Georgian gastronomical phraseologisms

*Lolita Tabuashvili*

*Tbilisi State University*

*Humanitarian science faculty*

*36, I.Chavchavadze aven., 0179, Tbilisi, Georgia*

*Tel.: 599 468 184*

*E-mail: [ltabuashvili@yahoo.fr](mailto:ltabuashvili@yahoo.fr)*

### Abstract

Many linguists dedicated their studies to questions of phraseology. Until now we can not get this significant sphere as gastronomy and the connected with it phraseologisms. The article represents that type of phraseologisms, which were connected to the gastronomy and its classification from the semantic usage point of view and shows this classes similarity and differences to georgian units.

### Keywords:

Gastronomy, phraseology, typology, classification, comparison.

# **Сравнительно-сопоставительный анализ французско-грузинских гастрономических фразеологизмов**

*Табуашвили Лолита*

*Тбилисский Государственный Университет*

*Факультет гуманитарных наук*

*Пр. Чавчавадзе 36, 0179, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 599 468 184*

*E-mail: [ltabuashvili@yahoo.fr](mailto:ltabuashvili@yahoo.fr)*

ные с ней фразеологизмы не встречались. В статье представлены фразеологизмы, связанные с гастрономией, их классификация с точки зрения использования семантики, а также классификация сходства и различия с соответствующими грузинскими фразеологическими единицами.

## **Ключевые слова:**

гастрономия , фразеология, типология, классификация, сравнение.

## **Резюме**

Многие лингвисты посвятили свои исследования вопросам фразеологии. До сих пор такая значительная сфера, как гастрономия и связан-

## კოლოგაციები დიპლომატიურ ტექსტში

რუსულან თაბუკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი, საქართველო

ტელ: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

### რეზიუმე

კოლოგაციების ფუნქცია, მათი მნიშვნელობა და ხვედრითი წილი ენის ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე შესაძლებელია დადგენილ იქნას მხოლოდ ემპირიული პალეოგების შედეგად წერილობით ფიქსირებულ ტექსტში, რეალურ ტექსტებში, და ყველაზე მეტად პროფესიულ-დარგობრივ ტექსტებში, კერძოდ კი – დიპლომატიურ ტექსტებში, რადგან კოლოგაციების უმრავლესობა ტერმინებს უკავშირდება და მასზეა ორიენტირებული. ამ ტიპის ტექსტებში სტატისტიკურად ხშირია მათი კვანტიტატურობა და მრავალფეროვანი - მათი სტრუქტურა.

კოლოგაციას განვიხილავთ როგორც ენისა და მეტყველების ერთეულს, თუმცა მისი განხილვა შესაძლებელია ასევე ენობრივი აზროვნების ერთეულადაც. როგორც ენის ერთეული. კოლოგაცია არის სიტყვა-შეთანხმების ლექსიკურ-სემანტიკური ტიპი, რომელიც თავისი სემანტიკური სტრუქტურით დგას თავისუფალ სიტყვაშეთანხმებასა და ფრაზეოლოგიზმს შორის. კოლოგაციის კომპონენტები არ უკავშირდება ერთმანეთს ფრაზეოლოგიურად, ისინი ერთმანეთს უკავშირდებიან ენობრივი უზუსის საფუძველზე, ტრადიციის გათვალისწინებით და მისგან გამომდინარე.

### საკვანძო სიტყვები:

კოლოგაცია, კოლოგაციის კომპონენტები, ენობრივი უზუსი, დიპლომატიური ტექსტი, კოლოგაციური წყვილები.

### შესავალი

ტერმინი კოლოგაცია მყარი სიტყვაშეთანხმების სინონიმად აღიქმება. მისი გამოყენება ცოტა ხნის წინ დაიწყეს ლინგვისტებმა, მიუხედავად ამისა, მან უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი თანამედროვე ლინგვისტიკაში. ფართო გაგებით ეს არის ორი ან მეტი სიტყვის კომბინაცია, რომლებსაც აქვთ ხშირი ურთიერთშეხვედრის ტენდენცია, ანუ, საქმე გვაქვს ტექსტში სიტყვათა გააზრებულ თანმიმდევრობასთან.

ინფორმაცია მყარი სიტყვაშეთანხმებების შესახებ ყოველთვის თანმიმდევრულად არ აისახება განმარტებით ლექსიკონებში. საზღვარი მათსა და სიტყვათა თავისუფალ შეთანხმებებს, მათსა და იდიომატურ გამოთქმებს შორის საკმაოდ სუბიექტურად განისაზღვრება.

კოლოგაციას ხშირად უპირისპირებენ, ერთი მხრივ, სიტყვათა თავისუფალ შეთანხმებებს, ხოლო მეორე მხრივ - იდიომებს. სიტყვათა თავისუფალ კომბინაციებში მათი ელემენტები შესაძლოა ჩანაცვლდეს სინონიმებით, ან თუ რომელიმე მათგანი ამოგარდნილია, თავისუფალი კომბინაციის აზრის გაგება შესაძლებელია მთელის (მთელი კომბინაციის შინაარსის) მნიშვნელობიდან. იდიომაზი კი პირიქით, - მთელი გამოთქმის სემანტიკას ვერ გავიგებთ მისი ცალკეული კომპონენტებიდან გამომდინარე. ამ ორი ჯგუფისაგან განსხვავებით კოლოგაციებში ცალკეული სიტყვების მნიშვნელობას სიახლე შეაქვს მთელის მნიშვნელობაში.

### ძირითადი ნაწილი

კოლოგაციის ცნების აღწერა სამი მიღობობით ხორციელდება. ესენია:

1. მიღობობა, რომელიც სათავეს იღებს

ბრიტანელი კონტექსტუალისტების ნაშრომებში [ფიორსი, 1957, 1968];

2. სემანტიკურ-სინტაქსური მიდგომა [კოვი, 1978, ჰაუსმანი 1979, 1985].

3. მიდგომა „აზრი - ტექსტი“ [იორდანსკაია, მელჩუკი, 2007].

ტერმინი კოლოკაცია პირველად შემოიტანა სტრუქტურული ლინგვისტიკის ლონდონის სკოლის ფუძემდებელმა, ბრიტანული კონტექსტუალიზმის წარმომადგენელმა ჯ.ფიორსმა, რომელიც მნიშვნელობას განიხილავს რთულ ლინგვისტურ მოვლენად, რომელიც გამოკვლეულ უნდა იქნას ენის ყველა დონეზე. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ლინგვისტური ანალიზის ემპირიული ხასიათი, ენის სწავლება უშუალოდ მის გამოყენებაში. სწორედ ამა თუ იმ ფორმის გამოყენების ანალიზი გვაძლევს საშუალებას გავხსნათ მნიშვნელობა. მნიშვნელობის ანალიზში დიდი როლი ეკისრება კონტექსტუალიზაციას, ანუ კონტექსტის დადგენის ხერხს ყოველ ენობრივ დონეზე. ლექსიკურ დონეზე ეს არის კოლოკაციები, ანუ, სიტყვის ტიპური და მუდმივი გარემოცვა, მითითება მის ტრადიციულ შეხვედრა/თანხვედრაზე სხვა სიტყვებთან. ამდენად, კოლოკაცია არის სიტყვათა შეთანხმება, რომელიც ხშირად გხვდება, „რომელთა გამოჩნდა ერთმანეთის გვერდიგვერდ ეფუძნება მოლოდინს და განისაზღვრება არა გრამატიკული, არამედ სემანტიკური ფაქტორებით“ [სუსოვი, 1999:153].

სემანტიკურ-სინტაქსურ მიდგომაში კოლოკაცია განიხილება სემანტიკურ-სინტაქსურ ერთეულად ან გრამატიკული სტრუქტურის ლექსიკურად განსაზღვრულ ელემენტად. ეს ელემენტები რეგულარულად გამოიყენებიან სემანტიკური, სინტაქსური და დისტრიბუციული თვალსაზრისით, რომელსაც აქვს სიტყვაშეთანხმების თვისებები. მათი დახასიათება არ ხერხდება მათივე გამოყენებით ტექსტში.

თეორიაში „აზრი-ტექსტი“ კოლოკაცია განიხილება როგორც არათავისუფალი სი-

ტყვაშეთანხმების, ანუ ფრაზების კლასის ქვეკლასი. კოლოკაციას უწოდებენ სიტყვაშეთანხმებას, რომელშიც ერთ-ერთი სიტყვა არის სემანტიკური დომინანტი, ხოლო მეორე სიტყვის შერჩევა ხდება მასზე დამოკიდებულებით მთელი გამონათქვამის აზრის გადმოსაცემად. თეორიაში ”აზრი-ტექსტი“ ამ ფრაზების, ანუ კოლოკაციების უმრავლესობას უწოდებენ ლექსიკურ-ფუნქციონალურ გამონათქვამს. [იორდანსკაია, მელჩუკი, 2007:239].

მნიშვნელოვანია კოლოკაციების გამიჯვნა ფუნქციურ ზმნიანი შენაერთებისაგან. ფუნქციურ ზმნიანი შენაერთები – ეს არის ზმნისა და არსებითი სახელის კავშირი და ისინი დგანან თავისუფალ სინტაქსისა და იდიომატურ ფრაზეოლოგიას შორის. ამ კონსტრუქციებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი უმეტესად მიუთითებენ მნიშვნელობადაცლილ ზმნაზე და არსებით სახელზე, როგორც „მნიშვნელობის მატარებელზე“, რომელიც აღნიშნავს ხდომილებას ან მდგომარეობას. ზმნა და არსებითი სახელი ქმნის სემანტიკურ ერთეულს, ანუ წინადაღების წევრს. ზმნა კერ იქნება ცალკემდგომი, რადგან ასეთ შემთვევაში სახეზე გვექნება არასრული წინადაღება ან სულაც, ზმნის სხვაგვარი ინტერპრეტაცია. (z.B. er nimmt es in Anspruch. \*er nimmt es).

ტიპური ფუნქციურ ზმნიანი შენაერთები ორ ჯგუფად იყოფა, კერძოდ, წინდებულიანი ფუნქციურ ზმნიანი შენაერთები (მაგ. in Anspruch nehmen) და ფუნქციურ ზმნიანი შენაერთები არსებითი სახელით აკუზატივში. (მაგ. einen Entschluss fassen). ფუნქციური ზმნა ახლოს არის დამხმარე ზმნებთან. იგი უკავშირდება მსგავსივე ფუძის ქვენე არსებით სახელს და მასთან ერთად ქმნის მყარ შენაერთს, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში იმავე ფუძის ზმნა შეესატყვისება. მაგ: *Bearachtung finden - beachtet werden, einen Anspruch haben - beanspruchen*. ამდენად, ფუნქციურ ზმნიანი შენაერთების შემთხვევაში შესაძლე-

ბეჭია შენაერთის მნიშვნელობის რეკონსტრუქცია მისი კომპონენტების მნიშვნელობის ექსპლიკაციით, თუმცა მასში შემავალი კომპონენტები სემანტიკურ ერთიანობას ქმნიან. შენაერთი ზმნის ან ზედსართავი სახელისა და კოპულას ეკვივალენტს წარმოადგენს და, შესაბამისად, წინადაღებაში შემასმენლის ფუნქციას ასრულებს.

თავისუფალი სიტყვაშეთანხმებისაგან განსხვავებით (ლამაზი გოგონა, გამოცდილი მასწავლებელი) კოლოკაცია განსაზღვრავს იმას, თუ რომელი სიტყვების გამოყენებაა შესაძლებელი ერთად, ერთმანეთის გვერდიგვერდ, რომელი სახელისა რომელ სახელთან, რომელი ზედსართავი სახელისა რომელ არსებით სახელთან და ა. შ. იგი განსაზღვრავს ასევე მათ კომბინაციებს. მაგ: ძლიერი ძრავი, მაგარი ჩაი, კრისტალური ადამიანი. მაგრამ შეუძლებელია მნიშვნელობის შეცვლის გარეშე შეიცვალოს ეს კოლოკაციები სიტყვაშეთანხმებით: „კრისტალური ძრავი“, „ძლიერი ჩაი“, „მაგარი ძრავი“, (თუმცა ეს უკანასკნელი ზეპირი კომუნიკაციისას შესაძლოა გამოყენებულ იქნას წარმატებით).

მეორე მხრივ - კოლოკაციები განსხვავდება იდიომებისგან. იდიომაში მთელის მნიშვნელობა არ უდრის ცალკეული ერთეულების მნიშვნელობათა ჯამს. შესაბამისად, კოლოკაცია და იდიომი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მნიშვნელობის კომპოზიციონალურობა/არაკომპოზიციონალურობის სარისხით - იდიომების მნიშვნელობა კომპოზიციონალურია, (ხშირად მეტაფორული), მაგ: *den Löffel abgeben*, მაშინ, როცა კოლოკაციის მნიშვნელობა არაკომპოზიციონალურია.

კოლოკაციებს აქვთ საკუთარი მარკერები, რომლებითაც ისინი განსხვავდებიან ერთი მხრივ იდიომებისაგან და მეორე მხრივ - თავისუფალი სიტყვაშეთანხმებებისაგან. ეს მარკერებია:

1. კოლოკაციები არაკომპოზიციონალურია. მაგ:

„*Neue Schuhe*“ versus „*Neuer Markt*“

„*schwarzer Vogel*“ versus „*schwarzer Tag*“ (მაგ. ფეხბურთელებისათვის)

2. კოლოკაციები არაჩანაცვლებადია. მაგ: „*weißer Wein*“, versus „*gelber Wein*“

3. არ ექვემდებარება მოდიფიცირებას. მაგ: „*schwarzer Tag*“, versus „*gelber Tag*“

4. კოლოკაციის ლექსიკური „შევსება“ შეუძლებელია:

„*schwarzer Tag*“, versus „*langweiliger schwarzer Tag*“

კოლოკაციამ ფართო გაგებით შესაძლებელია მოიცვას:

1. საკუთარი სახელები:

ჯორჯ ბუში, თბილისის იგ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. ტერმინოლოგიური გამოთქმები. მაგ:

„test set“, „program specification“.

3. ასოციაციური კოლოკაციები. მაგ:

„Haus & Tür“, „Tatort & Mörder“, „Krankenhaus – Schwester“.

4. კოლოკაცია „ზმნა-არსებითი სახელი“ (პრედიკატული კოლოკაცია). მაგ:

„Medaille gewinnen“, „Fahrrad fahren“, „Entscheidung treffen“.

5. კოლოკაცია „ზედსართავი - არსებითი სახელი (ატრიბუტული კოლოკაცია) მაგ:

„*schwarzer Tag*“, „*harte Drogen*“.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმული დან მიგვაჩნია, რომ კოლოკაცია – ეს არის წინადაღებაში ორ ან მეტ სიტყვას შორის ლინეალური კავშირი, სინტაგმატური კავშირი ლექსიკური სოლიდარობის გამოხატვის მიზნით. ტერმინი ლექსიკური სოლიდარობა კოსერიუს ეკუთვნის [კოსერიუ, 1967, 293]. იგი თვლის, რომ ლექსიკური სოლიდარობა არის „სიტყვათა შორის სინტაგმატური იმპლიკაციები“.

წინამდებარე მოხსენებაში წარმოჩენილი პრობლემატიკის გასათვალსაჩინოებლად კოლოკაცია, როგორც სიტყვათა თანმიმ

დევრული არაკომპოზიციონალურ-არაჩანაცვლებადი, უზუალური გამოყენების ერთერთი ხერხი განვიხილეთ დიპლომატიურ დარგობრივ ტექსტში, რომელიც უხვი და მრავალზახნაგოვანი აღმოჩნდა კოლოკაციური წევილების გამოყენების თვალსაზრისით, რადგან ისინი ტერმინებს და ტერმინოლოგიურ გამოთქმებს "ამშვენებს", რითაც ერთმნიშვნელოვანს და გასაგებს, გამჭვირვალეს ხდის აბსტრაქტულ, აბსტრაქციორებულ ცნებებს.

წერილობითი დიპლომატიური ტექსტების ანალიზისას, მათში ლექსიკურ ერთეულებს შორის კოლოკაციური კავშირების დადგნისას გამოიყო შემდეგი ტიპები :

1. ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი:

massive Drohung  
heiße Debatte  
einseitige Erklärung  
geistiges Eigentum  
erniedrigende Behandlung  
gescheiterte Verfassung

2. არსებითი სახელი + ზმნა:

einen Streit beilegen  
Unheil/Frieden stiften  
Außenpolitik betreiben

3. არსებითი სახელი+არსებითი სახელი:

eine Anstalt des öffentlichen Rechts

4. რთული კომპოზიტები:

die Völkerrechtsordnung  
die Rechtspersönlichkeit  
die Völkerrechtssubjektivität  
die Wettbewerbsverzerrung  
die Gewaltenteilungslehre  
die Richtlinienkompetenz

5. ზმნა+ზმნიზედა:

halbmast flaggen

weltweit agieren

6. ზედსართავი სახელი + ზმნიზედა:

heiß ersehnt

## დასკვნა

ჩამოთვლილი მაგალითების საფუძველზე კოლოკაციის ცნებასთან, კოლოკაციის ტიპებთან და მის მარკერებთან დაკავშირებით რამდენიმე ზოგადი და კონკრეტული დასკვნა:

1. კოლოკაციები უზუალიზირებული ლექსების კონგრუირებული კომბინაციებია;

კოლოკაციები უზუალიზირებული ლექსების კომბინაციებია, ენობრივი ნორმების შესატყვისი და მისაღები არა სემანტიკური თანხვედრისა და შესაბამისობის საფუძველზე, არამედ მისი მისაღები აღქმადობის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ სოციალურად სანქციონირებულია;

კოლოკაციის კონსტიტუენტებს შორის რიგ შემთხვევებში შესაძლებელია იყოს სემანტიკური შეუთავსებლობა, შეუსაბამობა; (თუმცა დიპლომატიის დარგობრივი ენის ანალიზისას ასეთ შემთხვევებს ვერ წავაწყდოთ).

კოლოკაციების საზღვრები ამორფული და ბუნდოვანია. მისი ჩარჩოების დადგენის სირთულეს იწვევს ის გარემოება, რომ იგი ფრაზეოლოგიის, თავისუფალი სიტყვაშეთანხმების და ფუნქციურ ზმნიანი შენაერთების კვეთაზე მოიაზრება, რაც ართულებს მათ გამიჯვნას ერთმანეთისაგან.

ამდენად, კოლოკაცია არაკომპოზიციონალური სემანტიკის მქონე უზუალიზირებული ლექსების კომბინაციაა. იგი სიტყვათა ან ტერმინთა (განსაკუთრებით თვალშისაცემია ეს დარგობრივი ენის მაგალითზე) თანამიმდევრობაა, რომელიც წერილობით ფიქსირებულ ტექსტში კვანტიტატურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ვიდრე ეს წერილობით ფიქსირებული ტექსტის გარეთ, დისკურსშია მოსალოდნელი.

## ლიტერატურა

1. Firth, J. R. (1957): Papers in Linguistics 1934-1951. London

2. Firth, J. R. (1968): Selected Papers of J. R. Firth, 1952-1959, London
3. Cowie A.P. (1978): The place of illustrative material and collocations in the design of a learner's dictionary , Strevens P(ed), Honour of A S Hornby, Oxford
4. Иорданская, Л. Н. Мельчук, И. А. (2007): Смысл и сочетаемость в словаре. Москва
5. Сусов И. П. (1999): История языкоznания, Учебное пособие для студентов старших курсов и аспирантов, Тверь
6. Coseriu E. (1967): Lexikalische Solidsaritäten. Poetica 1,3. 293303

**Keywords:**

collocation, collocation components, liangual usage, diplomatic text, collocative pairs.

## Коллокации в дипломатическом тексте

Табукашвили Рустаан Михайловна  
Грузинский технический университет  
Департамент либеральных наук  
Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия  
Тел.: 593 512 484  
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

## Diplomatic Text Collocation

Rusudan Tabukashvili  
Georgian Technical University  
Liberal Arts Department  
77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia  
Tel.: 593 512 484  
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

### Abstract

The functions of collocation, their value at the lexical-semantic level can be established only in the writing texts (with the aid of an empirical study), in the branch- professional texts, especially in the diplomatic texts, since set collocation is connected with the terms and is oriented on them. The quantitativeness of collocation in the diplomatic texts is statistically more frequent and their structure is multy-valued.

We review the collocation as a language and speech unit, but we can also represent it as a linguistic thought unit. Collocation as a lingual unit is lexic-semantical type of word combination. It has its own semantic structure and stay among phraseologics and free word combinations. The collocation components not tie to each other phraseologically, theoreis tie bases on lingual usage with traditions help.

### Резюме

Функции коллокации, их значения на лексико-семантическом уровне можно установить только в письменных текстах (при помощи эмпирического исследования), в отраслево-профессиональных текстах, особенно в дипломатических текстах, так как множество коллокаций связаны с терминами и ориентированы на них. В дипломатических текстах квантитативность коллокации статистически учтена и многозначна их структура.

Коллокацию рассматриваем как единицу языка и речи, но ее можно представить также как единицу языкового мышления. Как единица языка, коллокация является лексико-семантическим типом словосочетания. Она своей семантической структурой стоит между фразеологизмом и свободным словосочетанием. Компоненты коллокации не связаны друг с другом фразеологически, они связаны на основе языкового узуса, с учетом традиции и исходя из нее.

### Ключевые слова:

Коллокация, компоненты коллокации, языковой узус, дипломатический текст, коллокационные пары.

# **Visual, Auditory, Kinesthetic Learners and teaching methods**

*Nino Purtzeladze*

*Georgian Technical University*

*Liberal Arts Department*

*77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel. : 595 308 284*

*E-mail: ninipurtzeladze@gmail.com*

## **Abstract**

Education perfects a human. It is a practice - a balance that helps a child grow into a complete, balanced and matured adult that the society and the mankind can rely upon. Training young learners is a huge responsibility, as teaching those means making a background, fundamental basics for their future education. But teaching English is a double responsibility. The importance of learning English cannot be overstated in an increasingly interconnected and globalized world. English is the most spoken official language in the world. It is the primary language used in international affairs. That is why teaching English is really challenging case. To teach well the teacher must know the audience he's teaching. Learners divide in three categories Visual, Auditory and Kinesthetic. It is important to know how to approach them and find out the best activities and methods to involve all kinds of students into the learning process and help them to comprehend the new language better.

## **Keywords:**

Visual learners, auditory learners, kinesthetic learners, Teaching methods, various activities.

## **Introduction**

Approximately 20 to 30 percent of the school-aged population remembers what is heard; 40 percent recalls well visually the things that are seen or

read; many must write or use their fingers in some manipulative way to help them remember basic facts; other people cannot internalize information or skills unless they use them in real-life activities such as actually writing a letter to learn the correct format. For some, auditory input is most valuable; others rely upon a visual style. Still others learn through kinesthetic means, or a combination of the three. Every person has one primary learning mode. That's why it's significant to explain a new material for all kinds of students at the same time using methods and activities that will be easily recognizable for each student. Every classroom likely contains a mixture of preferences. How can we differ Visual, Auditory and Kinesthetic Learners?

Visual learners tend to process information through what they see, to think in pictures and to have fertile imaginations. Auditory learners deal with information through what they hear. They tend to enjoy listening and like to talk things through. Kinesthetic learners manage information by doing touching and experiencing. (Hyperactive students may have an extremely high kinesthetic preference).

